საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №999

2010 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 91-ე მუხლის პირველი ნაწილის, 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 95^4 მუხლის მე-3 ნაწილისა და 95^5 მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებ:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 1. დამტკიცდეს:

1. ინსტრუქცია „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ (დანართი №1) თანდართულ დანართებთან ერთად.

2. (ამოღებულია - 30.12.2015, №466).

3. ინსტრუქცია „მცირე ბიზნესისთვის აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის წარმოების წესის შესახებ“ (დანართი №3) თანდართულ დანართთან ერთად.

4. ინსტრუქცია „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ“ (დანართი №4) თანდართულ დანართებთან ერთად.

5. ინსტრუქცია „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ“ (დანართი №5) თანდართულ დანართთან ერთად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №244 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №466 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

კ. ბაინდურაშვილი

დანართი №1

ინსტრუქცია

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XII თავის შესაბამისად და განსაზღვრავს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების მიხედვით საშემოსავლო/მოგების გადასახადის ადმინისტრირების წესს.

2. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე;

გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

3. (ამოღებულია - 21.02.2012, №54).

4. თუ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ან/და ამ ინსტრუქციაში არ არის გადასახადების ადმინისტრირების სპეციალური ნორმა, გამოიყენება დაბეგვრის საერთო წესები.

5. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, საქონლის/მომსახურების შემძენი პირის ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები იბეგრება საერთო წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №197 - ვებგვერდი, 02.07.2014წ.

თავი II
მიკრო ბიზნესი

მუხლი 2. მიკრო ბიზნესის სტატუსი

1. მიკრო ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არის გადასახადის გადამხდელი, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად მეწარმე ფიზიკურ პირად, როგორც მეწარმე სუბიექტად ყოფნა სავალდებულო არ არის.

3. მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას;

ბ) დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს, გარდა ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

მაგალითი 1:

პირობა:

ჯონდი არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას – ინდივიდუალურად რძისგან ამზადებს რძის პროდუქტს (მაწონს) და უკეთებს რეალიზაციას. მოცემული მომენტისათვის იგი არ ახორციელებს სხვა რაიმე სახის საქმიანობას და არ იყენებს დაქირავებული პირის შრომას. ჯონდის აზრით (წინასწარი ვარაუდით), მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციის შედეგად მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 30 000 ლარს.

ანალიზი:

იქიდან გამომდინარე, რომ ჯონდი არ იყენებს დაქირავებული პირის შრომას, აგრეთვე მისი ვარაუდით მისაღები მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი ვერ გადააჭარბებს 30 000 ლარს და მოცემული მომენტისათვის იგი არ ახორციელებს სხვა რაიმე სახის საქმიანობას, ჯონდი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მიკრობიზნესის სტატუსის მოთხოვნებს, შესაბამისად, მას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მიკრობიზნესის სტატუსი.

შენიშვნა:

ჯონდის მიერ დამატებით, სხვა სახის საქმიანობის განხორციელება და, შესაბამისად, შემოსავლის მიღება არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის, ან სტატუსის ქონის შემთხვევაში სტატუსის გაუქმების საფუძველი, თუ აღნიშნული საქმიანობა არ განეკუთვნება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით განსაზღვრული იმ საქმიანობების სახეებს, რომელთა განხორციელებაც ეკრძალება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს.

შედეგი:

ჯონდის მოთხოვნის შემთხვევაში მიენიჭება მიკრობიზნესის სტატუსი და გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრულ საქმიანობის სახეებზე მიკრობიზნესის 30000-ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება და ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება.

მაგალითი 2

პირობა:

პირობები იგივეა, რაც პირველ მაგალითში იმ განსხვავებით, რომ ჯონდიმ რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციის შედეგად მიიღო ერთობლივი შემოსავალი 27 000 ლარი წლის განმავლობაში და ჯონდი თავისუფალ დროს რძის პროდუქტის (მაწვნის) წარმოებასთან და რეალიზაციასთან ერთად ახორციელებდა საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტს (მთავრობის დადგენილებით საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტზე არ ვრცელდება 30 000-ლარიანი ზღვარი), რის შედეგადაც მან მიიღო

დამატებით 10 000 ლარი. შედეგად, ჯონდის ერთობლივმა შემოსავალმა მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში შეადგინა 37 000 (27 000+10 000) ლარი.

ანალიზი:

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის თანახმად, საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი განეკუთვნება იმ საქმიანობიდან ერთ-ერთს, რომლისგან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება და რომელზეც არ ვრცელდება მიკრობიზნესისთვის დადგენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვარი, შესაბამისად, ჯონდის მიერ საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან 10 000 ლარის ოდენობით მიღებული შემოსავალი მხედველობაში არ მიიღება და ამ შემოსავლის გარეშე მისი სხვა შემოსავალი კვლავ შეადგენს 27 000 ლარს, რომელიც არ აჭარბებს 30 000 ლარს.

შედეგი:

ჯონდის მიკრობიზნესის სტატუსი არ გაუუქმდება.

როგორც რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციიდან მიღებული 27 000 ლარი, ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან მიღებული 10 000 ლარი დაექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შესაბამისად, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

5. „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული შემოსავლების მიღებისას:

ა) მიკრობიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება ასეთი შემოსავლები მიუხედავად ამ შემოსავლების ოდენობისა;

ბ) ასეთი შემოსავლები იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მიკრობიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

მაგალითი 3:

პირობა:

პირობები იგივეა, რაც მე-2 მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ ჯონდის გასესხებული ჰქონდა ფიზიკურ პირზე ფული, რის შედეგად პროცენტის სახით მიიღო შემოსავალი 3 500 ლარის ოდენობით და ასევე ჯონდის აჩუქეს 7000 ლარი (არც ერთი შემოსავალი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა და არ დაბეგრილა). ჯონდის ერთობლივმა შემოსავალმა მიმდინარე წელს 47 500 (27 000+10 000+3 500+7 000) ლარი შეადგინა.

ანალიზი:

ანალიზი იგივეა, რაც მე-2 მაგალითის ანალიზშია მოცემული, იმ განსხვავებით, რომ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ის თანახმად, პროცენტის სახით და ჩუქებით მიღებული შემოსავლები განეკუთვნება იმ შემოსავლებს, რომლებიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით (ერთობლივ შემოსავალთან მასთან დაკავშირებული ხარჯების შეპირისპირებით) და რომლებიც მიკრობიზნესისთვის დადგენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრის მიზნებისათვის არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში. შესაბამისად, ჯონდის მიერ პროცენტის სახით 3 500 ლარის ოდენობით და ჩუქების შედეგად 7 000 ლარის ოდენობით მიღებული შემოსავალი მხედველობაში არ მიიღება და ამ შემოსავლის გარეშე მისი სხვა შემოსავალი შეადგენს 27 000 ლარს, რომელიც არ აჭარბებს 30 000 ლარს.

შედეგი:

ჯონდის მიკრობიზნესის სტატუსი არ გაუუქმდება.

როგორც რძის პროდუქტის (მაწვნის) რეალიზაციიდან მიღებული 27 000 ლარი, ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტიდან მიღებული 10 000 ლარი, დაექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შესაბამისად, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

ჯონდი ვალდებულია პროცენტის სახით მიღებული 3 500 ლარი და ჩუქების შედეგად მიღებული 7 000 ლარი მიკრობიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლისგან განცალკევებულად ასახოს ერთობლივ შემოსავალში და დაბეგროს ჩვეულებრივი წესით.

6. მიკრობიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, თუ იგი ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრულ საქმიანობას (შემდგომში – მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა), რომლის განხორციელება მიკრობიზნესის მიერ აკრძალულია და იწვევს სტატუსის გაუქმებას.

მაგალითი 4.

ჯონდი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას სათამაშო აპარატებით. იგი ელოდება, რომ მისი ერთობლივი შემოსავალი წლის ბოლოს არ გადააჭარბებს 30 ათას ლარს. აქედან გამომდინარე, ის გადაწყვეტს მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუმცა საგადასახადო ორგანო მას არ აძლევს სტატუსს, ვინაიდან ზემოაღნიშნული საქმიანობა მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობაა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №207 - ვებგვერდი, 12.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

მუხლი 3. ფიზიკური პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება

1. ფიზიკური პირი:

ა) რომელიც იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე, მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს;

ბ) რომელიც არ იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით და მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

2. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას (ამ ინსტრუქციის დანართი №1) სტატუსის მინიჭების თაობაზე და აღნიშნული განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში გასცემს მიკრობიზნესის სერტიფიკატს (ამ ინსტრუქციის დანართი №2).

3. მიკრობიზნესის სტატუსი პირს ენიჭება განცხადებაში მითითებული თარიღიდან, რომელიც არ უნდა უსწრებდეს განცხადების საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის თარიღს. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების თარიღი ფიქსირდება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულ მიკრობიზნესის სერტიფიკატში და პირი სტატუსის მქონედ ითვლება აღნიშნული თარიღიდან.

4. სერტიფიკატი ძალაშია შემდგომ საანგარიშო პერიოდებშიც, თუ ფიზიკურ პირს არ უუქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი.

5. (ამოღებულია - 11.04.2011, №207).

6. ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიკრობიზნესის სტატუსის მისაღებად საგადასახადო ორგანოს მიმართოს, როგორც 2011 საანგარიშო წლის მიხედვით, ასევე შემდგომი ნებისმიერი საანგარიშო წლის მიხედვით, ნებისმიერ დროს ამ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნულ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების პირობები, მისთვის მიკრობიზნესის სტატუსი მინიჭებულად ითვლება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემულ სერტიფიკატში მითითებული თარიღიდან.

7. ფიზიკურ პირი, რომელსაც გაუუქმდა მიკრობიზნესის სტატუსი, უფლებამოსილია მომდევნო საგადასახადო წლიდან ამ სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

8. მიკრო ბიზნესის სტატუსის ხელახალი მინიჭების შემთხვევაში, ფიზიკურ პირზე გაიცემა სერტიფიკატი ახალი სარეგისტრაციო ნომრით.

9. მიკრობიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს.

10. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით (განცხადებით მომართვის გარეშე) მიანიჭოს ფიზიკურ პირს მიკრო ბიზნესის სტატუსი და გადასცეს შესაბამისი სერტიფიკატი, თუ თვლის, რომ ფიზიკური პირი აკმაყოფილებს მიკრო ბიზნესისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №207 - ვებგვერდი, 12.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.

მუხლი 4. მიკრო ბიზნესის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა და დაბეგვრის წესი

1. საანგარიშო წლის განმავლობაში მიკრო ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი შედგება:

ა) შემოსავლისგან, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას და მოიცავს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლებისა და ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა;

ბ) შემოსავლისგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით და მოიცავს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ით განსაზღვრული შემოსავლების სახეების მიხედვით მიღებულ ერთობლივ შემოსავალს;

გ) სხვა შემოსავლებისაგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული შემოსავლებისა.

2. მიკრო ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას (საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება), შედგება:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან, რომელიც კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლებისა (იხ.: მე-2 მუხლის მაგალითი 1);

ბ) „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქმიანობის სახეებიდან მიღებული შემოსავლებისგან, რომლებზეც 30 000-ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება. (იხ.: მე-2 მუხლის მაგალითი 2).

3. მიკრო ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას:

ა) გაიანგარიშება საქართველოს საგადასახდო კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლების გათვალისწინებით;

ბ) იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მიკრო ბიზნესის სტატუსის არა რსებობის შემთხვევაში. (იხ: მე-2 მუხლის მაგალითი 3)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №207 - ვებგვერდი, 12.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

მუხლი 5. მიკრო ბიზნესის საგადასახადო ანგარიშგება

1. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები არ იხდიან მიმდინარე გადასახდელებს.

მაგალითი 1.

გიორგი, რომელსაც აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი, აღნიშნული სტატუსის ფარგლებში, ახორციელებს მთარგმნელობით საქმიანობას. მის საქმიანობას წარმოადგენს აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში სესხის გაცემა. გიორგიმ 2016 წელს წარადგინა 2015 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, 2015 წელს მის მიერ სესხის გაცემიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა შეადგინა 10 000 ლარი. ამასთან, გიორგიმ სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში განახორციელა ხარჯების გამოქვითვა.

გამოანგარიშებული გადასახდელი თანხის ფარგლებში გიორგის დაერიცხა მიმდინარე გადასახდელები, მათ შორის, პირველი მიმდინარე გადასახდელი 2016 წლის 16 მაისის სავადო თარიღით 2500 ლარი.

გიორგიმ, როგორც მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელმა, დარიცხული მიმდინარე გადასახდელების შემცირების მოთხოვნით 2016 წლის 1 ივნისს მიმართა საგადასახადო ორგანოს.

ანალიზი:

სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი განეკუთვნება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული №3 დანართით განსაზღვრულ შემოსავალს და იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით. შესაბამისად, სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი არ წარმოადგენს მიკრო ბიზნესის სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს.

ამდენად, ვინაიდან სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისათვის ნებადართულ შემოსავალს, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით, აღნიშნული შემოსავლის ნაწილში პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე მიმდინარე გადასახდელების დარიცხვა განხორციელებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ ექვემდებარება შემცირებას.

შედეგი:

გიორგის არ შეუმცირდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული მიმდინარე გადასახდელები.

2. თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მიკრობიზნესის სტატუსის მიღებას ან/და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მიკრობიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას იმ რეჟიმით ან/და წესით, რომლითაც იბეგრებოდა სტატუსის მინიჭებამდე საქმიანობის განხორციელებისას, ხოლო მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებიდან მიღებული შემოსავლები ექვემდებარება დაბეგვრას მიკრობიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით.

მაგალითი 2

გიორგიმ 2021 წლის 25 ივნისიდან მიიღო მიკრობიზნესის სტატუსი. მოცემული მომენტისათვის მისი ერთობლივი შემოსავალი შეადგენდა 15 000 ლარს, ბიუჯეტში კი მიმდინარე გადასახდელების სახით გადახდილი ჰქონდა 1000 ლარი. საანგარიშო წლის დასრულებამდე მან კიდევ მიიღო შემოსავალი 7000 ლარის ოდენობით.

ანალიზი:

ვინაიდან გიორგიმ სტატუსი მიიღო 2021 წლის 25 ივნისიდან, მიკრობიზნესისათვის დადგენილი სპეციალური რეჟიმი გავრცელდება მის მიერ 2021 წლის 25 ივნისიდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე, ანუ 7000 ლარზე. ამასთან, მის მიერ სტატუსის მინიჭებამდე შემოსავლები (15 000 ლარი) დაექვემდებარება დაბეგვრას იმ რეჟიმით ან/და წესით, რომლითაც იბეგრებოდა სტატუსის მინიჭებამდე საქმიანობის განხორციელებისას.

გიორგის მიერ 2022 წლის 1 აპრილამდე წარსადგენ დეკლარაციაში სპეციალური რეჟიმით დაქვემდებარებული შემოსავლების აღრიცხვის ნაწილში აისახება 7 000 ლარი. ამასთან, ფიზიკურ პირს სტატუსის მიღების შემდგომ მიმდინარე გადასახდელები აღარ დაერიცხება.“.

3. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს, მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში, არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება (საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება). ამასთან, არარეზიდენტი პირისაგან მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში იგი ვალდებულია ოპერაცია დაბეგროს დღგ-ით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით.

4. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

5. თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრო ბიზნესის სტატუსი და მას არ მიუღია მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება მიმდინარე გადასახდელების მიმართ.

6. თუ მიმდინარე წლის განმავლობაში ფიზიკურ პირს გაუუქმდა მიკრო ბიზნესის სტატუსი და მიენიჭა მცირე ბიზნესის სტატუსი, მის მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მიკრო ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

7. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას. ამასთან, თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი შემდგომში მიმდინარე საგადასახადო წლის დასრულებამდე არ განაახლებს ეკონომიკურ საქმიანობას, საანგარიშო წლის მიხედვით მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში განმეორებით დეკლარაციის წარადგენა სავალდებულო არ არის.

მაგალითი 3.

გიორგის აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. 2011 წლის 1 ივლისს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეწყვიტა საქმიანობა. ამ მომენტისათვის მას მიღებული ჰქონდა 8000 ლარის ოდენობის ერთობლივი შემოსავალი და 16 ივლისს საგადასახადო ორგანოში წარადგინა დეკლარაცია, თუმცა შეეძლო წარედგინა 12 აგვისტოს ჩათვლით.

შემთხვევა №1:

გიორგის აღარ განუახლებია ეკონომიკური საქმიანობა 2011 წლის საანგარიშო პერიოდში და შესაბამისად მას აღარ წარმოშობია ვალდებულება წარედგინა დეკლარაცია მიმდინარე საანგარიშო წელზე მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

შემთხვევა №2:

გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და 2011 წლის 7 ოქტომბერს განაახლა ეკონომიკური საქმიანობა. ამ მომენტიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე განახორციელა ოპერაციები საერთო ღირებულებით 13000 ლარი. 2012 წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს დეკლარაცია, რომელშიც ერთობლივი შემოსავალი იქნება 21000 ლარი (8000+13000).

მაგალითი 4
პირობა:

გიორგი, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ და მინიჭებული აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი, აღნიშნული სტატუსის ფარგლებში, ახორციელებს მთარგმნელობით საქმიანობას. გიორგიმ გადაწყვიტა დაიწყოს დაქირავებულ პირთა შრომის გამოყენება. შესაბამისად, მან საგადასახადო ორგანოს მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მოთხოვნით.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს არ ეკრძალება დაქირავებულ პირთა შრომის გამოყენება, გიორგი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლით დადგენილ მცირე ბიზნესის სტატუსის მოთხოვნებს, შესაბამისად მას უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი.

შედეგი:

გიორგის მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი და გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შესაბამისად, მის მიერ წლის დასაწყისიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე მიღებული შემოსავლები დაიბეგრება მიკრო ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, რის თაობაზეც გიორგი წარადგენს საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას. ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თვიდან განახორციელებს ყოველთვიურ ანგარიშგებას მცირე ბიზნესისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №466 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №201- ვებგვერდი, 29.08.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 18.02.2021წ.

მუხლი 6. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ვალდებულებები

1. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი უფლებამოსილია მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში რეალიზებულ საქონელზე ან გაწეულ მომსახურებაზე გამოწეროს პირველადი საგადასახადო დოკუმენტი.

2. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, ვალდებულია დოკუმენტში მიუთითოს მისი სტატუსი და სტატუსის სერტიფიკატის ნომერი.

3. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია მისთვის ან მის მიერ გამოწერილი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს დადგენილი წესით.

4. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია უზრუნველყოს 6 წლის ვადით საგადასახადო დოკუმენტების შენახვა.

მუხლი 7. საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, გარდა მთავრობის მიერ განსაზღვრული ცალკეული საქმიანობის განმახორციელებელი ან ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საქმიანობის განმახორციელებელი მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა, თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

მუხლი 8. მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმება

1. მიმდინარე საგადასახადო წელს მიკრო ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) ფიზიკურმა პირმა მიმართა საგადასახადო ორგანოს წერილობითი განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების ან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 000 ლარს.

გ) ფიზიკურმა პირმა განახორციელა მიკრო ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა;

დ) ფიზიკური პირს ჰყავს დაქირავებული (აღნიშნულის მიზნებისათვის დაქირავებულად არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ ოჯახის წევრები);

ე) ფიზიკურ პირს წარმოეშვა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;

ვ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 30 000 ლარს (აღნიშნული არ ეხება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით მიღებულ შემოსავალს ან განსაზღვრული შემოსავლის სახეებს, რომელიც არ გაითვალისწინება აღნიშნული ზღვრის გაანგარიშებისას).

2. თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის ჯამური ერთობლივი შემოსავალი გადააჭარბებს 30 000 ლარს (აღნიშნული არ ეხება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით მიღებულ შემოსავალს ან განსაზღვრული შემოსავლის სახეებს, რომელიც არ გაითვალისწინება აღნიშნული ზღვრის გაანგარიშებისას) ან იგი დაიწყებს დაქირავებული პირის შრომის გამოყენებას, მას უფლება აქვს ამ მომენტის დადგომიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს მიმართოს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით. აღნიშნული უფლების არგამოყენების შემთხვევაში მას ავტომატურად გაუუქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი და გამოვა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმიდან.

3. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია მიკრობიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს მიკრობიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით.

4. თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განახორციელებს მიკრო ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მიკრო ბიზნესის სტატუსს და ფიზიკური პირი გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან. ამასთან, აღნიშნული იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

5. საგადასახადო ორგანოს მიერ ფიზიკური პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში გადამხდელს ეგზავნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

6. მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი ექვემდებარება დაბრუნებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.

მუხლი 9. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა რეესტრი

1. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირიდან შემენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯის იდენტიფიცირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) აწარმოებს საგადასახადო წლისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების ერთიან რეესტრს, რომელიც განთავსდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

მუხლი 10. მიკრო ბიზნესის საგადასახადო კონტროლი

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის შემოსავლები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდებით – აქტივების სიდიდის, სხვა ამგვარი გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ანალიზის და მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

2. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო

კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

გ) შესაბამის შემთხვევებში, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

3. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი - მე-4 ნაწილებით დადგენილი სანქციები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.

თავი III
მცირე ბიზნესი

მუხლი 11. მცირე ბიზნესის სტატუსი

1. მცირე ბიზნესის სტატუსი (შემდგომში – მცირე ბიზნესი) შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს (მათ შორის, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს), რომელიც არის მეწარმე ფიზიკური პირი და იმყოფება საგადასახადო აღრიცხვაზე.

2. მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, თუ იგი ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4-ით განსაზღვრულ საქმიანობას (შემდგომში – მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა), რომლის განხორციელება მცირე ბიზნესის მიერ აკრძალულია და იწვევს სტატუსის გაუქმებას.

მაგალითი 1:

პირობა:

გიორგიმ, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას (კერძოდ, ვაჭრობას, ფართის იჯარით გაცემას, ასევე ეწევა საქმიანობას სათამაშო აპარატებით, რაზედაც მას მიღებული აქვს შესაბამისი ნებართვა), გადაწყვიტა მიმართოს საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

ანალიზი:

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4-ის თანახმად, სათამაშო აპარატებით საქმიანობა განეკუთვნება იმ საქმიანობიდან ერთ-ერთს, რომლის განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება მეწარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება.

შედეგი:

გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი არ მიენიჭება.

3. მცირე ბიზნესისთვის „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ით განსაზღვრულია შემოსავლის სახეები, რომლებიც იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში და მიუხედავად ამ შემოსავლების ოდენობისა, მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №207 - ვებგვერდი, 12.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 12. ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება

1. ფიზიკური პირი:

ა) თუ იგი წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ პირს, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს;

ბ) თუ იგი ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას, საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს;

გ) სხვა შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული შემთხვევებისა, ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში ინდივიდუალურ მეწარმედ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და აღნიშნული რეგისტრაციის შემდეგ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებით (ამ ინსტრუქციის დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

2. ფიზიკურ პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი და სურს მიენიჭოს მცირე ბიზნესის

სტატუსი, მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის საგადასახადო ორგანოს მიმართავს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას (ამ ინსტრუქციის დანართი №1) სტატუსის მინიჭების თაობაზე და განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს (ამ ინსტრუქციის დანართი №3).

4. მცირე ბიზნესის სტატუსი პირს ენიჭება საგადასახადო ორგანოსთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და პირი სტატუსის მქონედ ითვლება აღნიშნული თარიღიდან.

მაგალითი 1:

პირობა:

ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, ახორციელებს სურსათით საცალო ვაჭრობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მის მიერ 2018 და 2019 წლების განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა თითოეული წლის მიხედვით შეადგინა 600 000 ლარი.

პირმა მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართა განცხადებით 2020 წლის 10 მარტს.

ანალიზი:

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის მიერ 2018 და 2019 წლების განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი თითოეული წლის მიხედვით აღემატება 500 000 ლარს, აღნიშნული არ არის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის შემზღუდავი პირობა. ამასთან, ვაჭრობა არ წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას. გიორგი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლით დადგენილ მცირე ბიზნესის სტატუსის მოთხოვნებს. შესაბამისად, მას უფლება აქვს, მიმართოს საგადასახადო ორგანოს და მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი.

შედეგი:

საგადასახადო ორგანო გიორგის ანიჭებს მცირე ბიზნესის სტატუსს და გადასცემს სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს. გიორგი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონედ ჩაითვლება 2020 წლის 1 აპრილიდან. მის მიერ 1 აპრილიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

5. მცირე ბიზნესის სერტიფიკატი გაიცემა უვადოდ და ძალაშია თუ ფიზიკურ პირს არ გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი.

6. მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელსაც გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი, უფლება აქვს სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს და კვლავ მიიღოს სტატუსი.

7. მცირე ბიზნესის სტატუსის ხელახალი მინიჭების შემთხვევაში ფიზიკურ პირზე გაიცემა სერტიფიკატი ახალი სარეგისტრაციო ნომრით (ამ ინსტრუქციის დანართი №3).

8. მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე მეწარმე ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია შეიტანება შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ბაზაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №207 - ვებგვერდი, 12.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №466 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 13. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა, გადასახადის განაკვეთი და დაბეგვრის წესი

1. მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი შედგება:

ა) შემოსავლისგან, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას და მოიცავს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს, გარდა ამ მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული შემოსავლებისა და ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა;

ბ) შემოსავლისგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით და მოიცავს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ით განსაზღვრული შემოსავლების სახეების მიხედვით მიღებულ ერთობლივ შემოსავლებს;

გ) სხვა შემოსავლებისგან, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლებისა.

2. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, შედგება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან და იბეგრება:

ა) 1 პროცენტით, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) 3 პროცენტით, თუ მისმა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. ამასთან, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი 3%-იანი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (

ერთობლივი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების თვე) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე.

მაგალითი 1:

პირობა:

გიორგის მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ, ფლობს „მინიმარკეტს“, სადაც ეწევა სურსათის საცალო ვაჭრობას. ამ საქმიანობიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა 2019 წლის 20 ოქტომბერს გადააჭარბა 500 000 ლარს.

ანალიზი:

მცირე ბიზნესის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

შედეგი:

2019 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 1%-იანი განაკვეთით, ხოლო 1 ოქტომბრიდან კალენდარული წლის დასრულებამდე მიღებული შემოსავალი – 3%-იანი განაკვეთით.

3. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას:

ა) გაიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლების გათვალისწინებით;

ბ) იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში.

მაგალითი 2:

პირობა:

გიორგის მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ, ფლობს „მინიმარკეტს“, სადაც ახორციელებს სურსათის საცალო ვაჭრობას. ამ საქმიანობის ნაწილში 2019 წლის განმავლობაში მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა შეადგინა 200 000 ლარი. გიორგი ასევე ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, საიდანაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2019 წლის განმავლობაში შეადგინა 50 000 ლარი.

ამასთან, ამავე წელს მან:

– ფიზიკური პირისგან პროცენტის სახით მიიღო შემოსავალი 6000 ლარის ოდენობით;

– გაყიდა საცხოვრებელი სახლი 62000 ლარად, რომელიც წინა წელს შეძენილი ჰქონდა 50000 ლარად;

– უცხოური საწარმოდან დივიდენდის სახით მიიღო 13000 ლარი;

– რეზიდენტი საწარმოსგან ხელფასის სახით მიიღო შემოსავალი 15000 ლარი.

ანალიზი:

ამ შემთხვევაში გიორგის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ, როგორც ჩვეულებრივი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი. ამასთან, ასეთი ტიპის შემოსავლები მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.

იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული ტიპის შემოსავალი არ არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ, როგორც შემოსავალი, რომელიც არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში, იგი გაითვალისწინება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას.

ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრას.

შედეგი:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ 2019 წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც გაითვალისწინება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას, შეადგენს 250 000 ლარს (200 000+50 000).

პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი 6000 ლარი, ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი 12000 ლარი (62000-50000) და მიღებული დივიდენდი 13000 ლარი არ მიიღება მხედველობაში წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას. ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები

ასევე იბეგრება ჩვეულებრივი რეჟიმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

– მცირე ბიზნესის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 1%-იანი განაკვეთით ყოველთვიურად, რის თაობაზეც პირი შესაბამის საანგარიშო პერიოდებზე არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში წარადგენს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას;

– პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი ჩაირთვება გიორგის ერთობლივ შემოსავალში და დაიბეგრება 20%-იანი განაკვეთით, ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი დაიბეგრება 5%-იანი განაკვეთით. საქმიანობის ამ ნაწილში გიორგი 2020 წლის 1 აპრილამდე წარადგენს საშემოსავლო გადასახადის 2019 წლის წლიურ დეკლარაციას;

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან, ვინაიდან 2019 წელს ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;

– დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ განიხილება საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლად, გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან;

– ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრას და დაიბეგრება გადახდის წყაროსთან.

მაგალითი 3:

პირობა:

გიორგის მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, კერძოდ, ფლობს „მინიმარკეტს“, სადაც ახორციელებს სურსათის საცალო ვაჭრობას. გიორგი ასევე ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. 2019 წლის დასაწყისიდან ოქტომბრის ჩათვლით მის მიერ მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა გადააჭარბა 500 000 ლარს. კერძოდ, ვაჭრობიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა წლის დასაწყისიდან ოქტომბრის ჩათვლით შეადგინა 300 000 ლარი. ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა – 250 000 ლარი.

ანალიზი:

ამ შემთხვევაში გიორგის მიერ საქართველოში ვაჭრობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას.

იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი არ არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ, როგორც შემოსავალი, რომელიც არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში, იგი გაითვალისწინება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას.

შედეგი:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ 2019 წლის დასაწყისიდან ოქტომბრის ჩათვლით მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც გაითვალისწინება მცირე ბიზნესისათვის დადგენილი 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას, შეადგენს 550 000 ლარს (300 000+250 000).

იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა გადააჭარბა 200 000 ლარს, ხოლო ჯამურმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს, მცირე ბიზნესის მიერ როგორც ვაჭრობიდან, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 1%-იანი განაკვეთით ყოველთვიურად ოქტომბრის თვემდე, ხოლო ოქტომბრის თვის დასაწყისიდან წლის ბოლომდე მიღებული შემოსავალი – 3%-იანი განაკვეთით. პირი შესაბამის საანგარიშო პერიოდებზე საგადასახადო ორგანოში წარადგენს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 11 აპრილის ბრძანება №207 - ვებგვერდი, 12.04.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 14. საგადასახადო ვალდებულების შესრულება მცირე ბიზნესის სტატუსის მიღებისას და გაუქმებისას

1. თუ ფიზიკური პირი მიმდინარე საანგარიშო წელს გადაწყვეტს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღებას ან/და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლას, მის მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას იმ რეჟიმით ან/და წესით, რომლითაც იბეგრებოდა სტატუსის მინიჭებამდე საქმიანობის განხორციელებისას. ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებიდან მიღებული შემოსავლები ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით.

1^1. ფიზიკური პირის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმიდან მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლისას, იგი არასრულ საგადასახადო პერიოდში (შესაბამისი წლის დასაწყისიდან სტატუსის მინიჭების თვემდე) მიღებულ შემოსავლებზე საგადასახადო დეკლარაციას

საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა. პირს, აღნიშნული დეკლარაციის მიხედვით, მიმდინარე გადასახდელები არ დაერიცხება.

2. თუ ფიზიკურ პირს გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტატუსი გაუქმებულად ითვლება კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან. აღნიშნულ კალენდარულ წელს გადამხდელი ვალდებულია მიღებული შემოსავალი დაბეგროს მცირე ბიზნესისათვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით.

2^1. თუ ფიზიკურ პირს გაუუქმდა მცირე ბიზნესის სტატუსი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტატუსი გაუქმებულად მიიჩნევა საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მაგალითი 1:

პირობა:

გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2017 წელს. მის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის 5 ოქტომბერს გადააჭარბა 500 000 ლარს, ხოლო 2020 წელს მიღებულმა შემოსავალმა 500 000-ს გადააჭარბა 25 სექტემბერს.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ გიორგის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2019 და 2020 წლის მიხედვით, თითოეული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა, მას გაუუქმდება მცირე ბიზნესის სტატუსი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის საფუძველზე გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ჩაეთვლება 2021 წლის დასაწყისიდან.

შედეგი:

გიორგის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 1%-იანი განაკვეთით, ხოლო 1 ოქტომბრიდან 2019 წლის დასრულებამდე მიღებული შემოსავალი - 3%-იანი განაკვეთით. ამასთან, იგი 2020 წლის დასაწყისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით მიღებულ შემოსავლებს დაბეგრავს მცირე ბიზნესისთვის დადგენილი 1%-იანი განაკვეთით, ხოლო 1 სექტემბრიდან 2020 წლის დასრულებამდე მიღებულ შემოსავლებს - 3%-იანი განაკვეთით. 2021 წლიდან მიღებული შემოსავლები დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით.

მაგალითი 2:

პირობა:

გიორგიმ 2023 წლის 25 აპრილს მიმართა საგადასახადო ორგანოს და მოითხოვა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება.

ანალიზი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის 3^1 ნაწილის შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად მიიჩნევა 1 მაისიდან.

შედეგი:

2023 წლის 1 მაისამდე გიორგის მიერ მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მცირე ბიზნესისათვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით. ხოლო 2023 წლის 1 მაისიდან წლის ბოლომდე მიღებული შემოსავლები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით.

მაგალითი 3:

პირობა:

2021 წელს საგადასახადო შემოწმებით გამოვლინდა, რომ გიორგიმ, რომელსაც ჰქონდა მცირე ბიზნესის სტატუსი, ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით 2020 წლის მარტში მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. ამასთან, დგინდება, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით მას საგადასახადო ორგანოსთვის არ მოუმართავს.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ გიორგის გაუქმებული აქვს ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია, იგი აღარ აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლით დადგენილ მცირე ბიზნესის სტატუსის მოთხოვნებს.

შედეგი:

გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის გაუქმების თარიღიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 15. მცირე ბიზნესის მიმდინარე გადასახდელები, დეკლარაციის წარდგენა და გადასახადის წყაროსთან დაკავება

1. მცირე ბიზნესი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.
2. მცირე ბიზნესი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია ამ ბრძანებით დამტკიცებული „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №5) შესაბამისად.

3. დაქირავებული პირებისთვის მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამურად გადახდილი 6000 ლარამდე ხელფასი, გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) იგი ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა და მას მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა იმავე კალენდარული წლის განმავლობაში;

ბ) მის მიერ, წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი 50 000 ლარს არ აჭარბებს.

4. მცირე ბიზნესი, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ვალდებულია ხელფასის გაცემისა და მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულების არსებობისას) გადახდის წყაროსთან დააკავოს გადასახადი.

მაგალითი 1:

პირობა:

გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებული აქვს 2017 წლიდან. მის მიერ 2019 წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 30 000 ლარს. გიორგიმ 2020 წლის 25 აპრილს დაქირავებულ თანამშრომლებზე გასცა ხელფასი 5 000 ლარის ოდენობით. ასევე, ამავე თარიღში ფიზიკურ პირს აუნაზღაურა მომსახურების ღირებულება, რომელზედაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით წარმოეშვა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ გიორგის მიერ 2019 წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 50 000 ლარს, ხოლო 2020 წლის 25 აპრილს დაქირავებულ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი – 6000 ლარს, კმაყოფილდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

შედეგი:

გიორგის მიერ გაცემული ხელფასი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება. ასევე, მცირე ბიზნესის სტატუსის პირის მიერ დაქირავებულისთვის გადახდილი ხელფასი, რომელიც გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, შესაბამისი პირების მიერ, ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება.

ამასთან, გიორგი ვალდებულია მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისთანავე გადაიხადოს ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი და არაუგვიანეს 2020 წლის 15 მაისისა წარადგინოს „საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“ დეკლარაცია და „საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“ ინფორმაცია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №II-06 და №II-07 დანართების მიხედვით.

მაგალითი 2:

პირობა:

გიორგი 2019 წლის 10 მარტს დარეგისტრირდა ინდივიდუალურ მეწარმედ, ამავე წლის 5 აპრილს მიმართა საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. გიორგის მიერ 3 დაქირავებულისათვის 2019 წლის აპრილის და მაისის თვეებში გაცემულმა ხელფასმა თითოეულ თვეში თითოეულ თანამშრომელზე შეადგინა 1600-1600 ლარი, ანუ ჯამურმა განაცემმა 2 თვეში შეადგინა 9600 ლარი.

ანალიზი:

იმის გათვალისწინებით, რომ დაქირავებულებზე ჯამურად გაცემულმა ხელფასმა 6000 ლარს გადააჭარბა, 2019 წლის მაისის თვიდან არ კმაყოფილდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

შედეგი:

გიორგის მაისის თვეში გაცემული ხელფასის ნაწილზე, კერძოდ 3600 ლარზე წარმოეშობა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებისა და საანგარიშო თვის მიხედვით შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება. ამასთან, იგი ვალდებულია შემდეგ პერიოდებში გაცემული ხელფასი სრულად დაბეგროს გადახდის წყაროსთან.

5. მცირე ბიზნესი არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს „ საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“

დეკლარაციას და „საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ“ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი საერთო წესით.

მაგალითი 3:

პირობა:

გიორგი ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 2019 წლის იანვარში, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა ამავე წლის 1 ოქტომბრიდან. სტატუსის მინიჭებამდე მას დაქირავებულებზე გაცემული აქვს ხელფასი 7 000 ლარის ოდენობით, რომელიც დადგენილი წესით დაბეგრილია გადახდის წყაროსთან.

ანალიზი:

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის სტატუსის მინიჭებამდე უკვე აქვს გაცემული 7000 ლარის ოდენობით ხელფასი, იგი უფლებამოსილია სტატუსის მინიჭების შემდგომ პერიოდებში (2019 წელს) 6000 ლარამდე გაცემული ხელფასი არ დაბეგროს გადახდის წყაროსთან.

შედეგი:

გიორგის მიერ სტატუსის მინიჭებამდე გაცემული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი ხელფასი გადაანგარიშებას არ ექვემდებარება. იგი უფლებამოსილია სტატუსის მინიჭების შემდგომ პერიოდებში (2019 წელს) 6000 ლარამდე გაცემული ხელფასი არ დაბეგროს გადახდის წყაროსთან.

6. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა დამატებით იღებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ით განსაზღვრულ შემოსავლებს, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი წესით, ამ შემოსავლებზე საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგენს საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას საგადასახადო ორგანოს 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს დეკლარაციას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 ივნისის ბრძანება №197 - ვებგვერდი, 02.07.2014წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №466 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №201- ვებგვერდი, 29.08.2016წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 16. მცირე ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი ამ ბრძანებით დამტკიცებული „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიერ აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ფორმისა და წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) შესაბამისად.
2. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლები აღრიცხოს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით.

3. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია საქონლის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევებში გამოიყენოს სასაქონლო ზედნადები.

4. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, უფლებამოსილია არ აწარმოოს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაგვარად აღრიცხვა, გარდა ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

მაგალითი 1:

პირობა:

გიორგი, რომელიც არის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, ეწევა ვაჭრობას.

საგადასახადო ორგანოს მიერ მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ინვენტარიზაცია, რომლის შედეგადაც გადასახადის გადამხდელთან გამოვლინდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც დადგენილი წესით არ ჰქონდა აღრიცხული აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში. ამასთან, მცირე ბიზნესს არ გააჩნია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტები.

ანალიზი:

მცირე ბიზნესი ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი, სადაც მან ხარჯის გაწევის შესახებ ინფორმაცია უნდა ასახოს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რომელშიც დაცული უნდა იყოს მაჩვენებლების უწყვეტობა და უტყუარობა.

შედეგი:

გიორგის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ჩაეთვლება აღურიცხველად და დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. მცირე ბიზნესი ვალდებულია უზრუნველყოს 3 წლის ვადით საგადასახადო დოკუმენტების შენახვა. აღნიშნული ვადა აითვლება შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

6. მცირე ბიზნესის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ზარალი მომდევნო საგადასახადო წელს არ გადაიტანება, თუ არ ხდება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან მისი გამოსვლა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 17. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისას სასაქონლო მარაგების აღრიცხვა

მცირე ბიზნესს სტატუსის გაუქმების შემთხვევაში უფლება აქვს ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო ნაშთები აღრიცხოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, იგი უფლებამოსილია სტატუსის გაუქმების მომენტისთვის არსებულ სასაქონლო მარაგების ნაშთებზე გაწეული ხარჯი, რომელზედაც გააჩნია ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.

მაგალითი 1:

პირობა:
გიორგის მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ეწევა ვაჭრობას. 2023 წლის 25 აპრილს მან მიმართა საგადასახადო ორგანოს სტატუსის გაუქმების მოთხოვნით. გიორგის სტატუსის გაუქმების მომენტისათვის შესყიდვების მიხედვით მარაგების სახით აქვს 120 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთი. პირს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი გააჩნია მხოლოდ 30 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთზე.
ანალიზი:
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის 3^1 ნაწილის საფუძველზე გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად მიიჩნევა 2023 წლის 1 მაისიდან. იგი უფლებამოსილია განახორციელოს სასაქონლო ნაშთების აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში.
შედეგი:
მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მომენტში არსებული 120 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთი აღურიცხველად არ ჩაითვლება. ამასთან, გიორგი უფლებამოსილია, მხოლოდ 30 000 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთზე გაწეული ხარჯი გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №227 - ვებგვერდი, 26.06.2023წ.

მუხლი 18. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება

1. მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან, თუ:

ა) (ამოღებულია - 23.06.2023, №227);

ბ) ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში – 500 000 ლარს გადააჭარბა. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, გაუქმების წელს მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება არ ხორციელდება.

1^1. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით მიმართა საგადასახადო ორგანოს კალენდარული წლის დასრულებამდე, მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მაგალითი 1:

პირობა:

ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, ახორციელებს სურსათით საცალო ვაჭრობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მის მიერ 2018 წლის განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 600 000 ლარი.

პირმა მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართა განცხადებით 2019 წლის იანვარში და მოითხოვა მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება. მის მიერ 2019 წლის განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა გადააჭარბა 500 000 ლარს.

ანალიზი:

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის მიერ 2018 და 2019 წლების განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი თითოეული წლის მიხედვით აღემატება 500 000 ლარს, აღნიშნული არ არის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი, ვინაიდან 2018 წელს მას არ ჰქონდა მცირე ბიზნესის სტაუსი.

შედეგი:

გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი 2020 წლიდან არ უუქმდება.

2. მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება მიმდინარე კალენდარული წლის დასაწყისიდან, თუ:

ა) ფიზიკურმა პირმა განახორციელა მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობა;

ბ) ფიზიკური პირი კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ დაჯარიმდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის.

3. მცირე ბიზნესი ვალდებულია მცირე ბიზნესისთვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებამდე

აღნიშნულის თაობაზე აცნობოს საგადასახადო ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდა პირის მიერ მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, იგი რეჟიმიდან გამოსულად ჩაითვლება ამ წლის დასაწყისიდან.

4. თუ მცირე ბიზნესი განახორციელებს მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას ან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაეკისრება ჯარიმა, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მცირე ბიზნესის სტატუსს იმ კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომელშიც პირმა დაიწყო აკრძალული საქმიანობა ან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის დაეკისრა სამი ჯარიმა.

მაგალითი 2:

პირობა:

გიორგი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებულია 2015 წლიდან. მას მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2020 წლის 1 იანვრიდან. 2020 წლის 15 სექტემბერს გიორგის საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის დაეკისრა მესამე ჯარიმა. მას საგადასახადო ორგანოში წარდგენილი აქვს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები.

ანალიზი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის საფუძველზე გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ჩაეთვლება 2020 წლის დასაწყისიდან.

შედეგი:

გაუქმდება ყოველთვიური დეკლარაციების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები. ამასთან, გიორგის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების მიხედვით დაერიცხება მიმდინარე გადასახდელები 2019 წლის წლიური გადასახადის მიხედვით.

მაგალითი 3:

პირობა:

გიორგის მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებული აქვს 2019 წლის 1 იანვრიდან. 2021 წელს საგადასახადო ორგანოს მიერ გამოვლინდა, რომ ფიზიკური პირი 2019 წელს ახორციელებდა მცირე ბიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას. კერძოდ, პირი ფლობდა სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიას და მოიპოვებდა სასარგებლო წიაღისეულს. პირის მიერ მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობის განხორციელებას 2020 და 2021 წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

ანალიზი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის გათვალისწინებით, ამ კოდექსით დადგენილი ვადა განისაზღვრება იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 89-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირი ახორციელებს მცირე ბიზნესისათვის აკრძალულ საქმიანობას. აღნიშნული საფუძვლით მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ითვლება იმ კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომელშიც პირმა დაიწყო აკრძალული საქმიანობა.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, მცირე ბიზნესისათვის აკრძალული საქმიანობის განხორციელების ფაქტი წარმოადგენს პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველს. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსულად ჩაითვლება 2019 წლის 1 იანვრიდან.

შედეგი:

გაუქმდება შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით ყოველთვიური დეკლარაციების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები და 2019 წლის დასაწყისიდან მიღებული შემოსავალი დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 02.02.2022წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 23 ივნისის ბრძანება №227 - ვებგვერდი, 26.06.2023წ.

მუხლი 19. მცირე ბიზნესის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის შესაბამისად და დადგენილ ვადაში.

2. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების დადგომისას ვალდებულია აღრიცხოს ამ მომენტისთვის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი, რომელზეც უფლება აქვს ჩაითვალოს დღგ დადგენილი წესის შესაბამისად, თუ გააჩნია შესაბამისი დოკუმენტაცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

მუხლი 20. მცირე ბიზნესის საგადასახადო კონტროლი

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

ბ) დათვალიერება;

გ) საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

დ) ქრონომეტრაჟი;

ე) ინვენტარიზაცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

დანართი №1

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 მარტის ბრძანება №114 - ვებგვერდი, 02.03.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –
შემოსავლების სამსახურს

ფიზიკური პირი _____

(სახელი, გვარი)

მისამართი _____

პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვეწევი _____ საქმიანობას. (საქმიანობის სახე)
გთხოვთ 20 წლის „___“ „_____“ დან:
მომანიჭოთ:

☐ მიკრო ბიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.

☐ მცირე ბიზნესის განმახორციელებელი პირის სტატუსი და მომცეთ შესაბამისი სერტიფიკატი.

გამიუქმოთ:

☐ მიკრო ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრო ბიზნესის № ---- სერტიფიკატი

☐ მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № ---- სერტიფიკატი.

ხელმოწერა . . . . . .

თარიღი „ — „ „_____“ 20 წელი

შენიშვნა:

1. შესაბამისი გრაფა აღინიშნება „V“ ნიშნით.
2. მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებისათვის ფიზიკური პირი დამოუკიდებლად (დაქირავებულ პირთა შრომის გარეშე) უნდა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და მისი მისაღები ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.
3. მცირე ბიზნესის მინიჭებისათვის ფიზიკური პირი უნდა იყოს მეწარმე ფიზიკური პირი.
4. გადასახადის გადამხდელის მიერ სტატუსის მინიჭების თარიღი მიეთითება მხოლოდ მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში.

დანართი №2

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური

მიკრობიზნესის სტატუსის
ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №
სერტიფიკატით დასტურდება, რომ

ფიზიკურ პირს ———————————————————

(სახელი და გვარი)

პირადი ნომერი

———————————————————

(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს მიკრობიზნესის სტატუსი

---------- | | | | |

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

---------- | | | | | დან

მიკრობიზნესის სტატუსი მინიჭებულია

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დანართი №3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.02.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური
მცირე ბიზნესის სტატუსის
ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №
სერტიფიკატით დასტურდება, რომ

ფიზიკურ პირს: ———————————————————

(სახელი და გვარი)

პირადი ნომერი

———————————————————

(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი

---------- | | | | |

სერტიფიკატის გაცემის თარიღი

---------- | | | | | დან

მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დანართი №4. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

დანართი №5

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №201- ვებგვერდი, 29.08.2016წ.

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
საანგარიშო წლის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ

1	გადამხდელის საიდენტიფიციო ნომერი											

20------- წელი

№	თანხის მიმღების დასახელება	მისამართი	საიდენტიფიკაციო ნომერი (პირადი ნომერი)	პირის რეზიდენტობა (ქვეყანა)	განაცემი		დაკავებული გადასახადი (ლარი)	საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გათავისუფლებას ან შემცირებას დაქვემდებარებული გადასახადის თანხა
					სახე	თანხა (ლარი)		
1	2	3	4	5	6	7	8	9

გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა	
ხელმოწერის თარიღი	

დანართი №2. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №466 - ვებგვერდი, 31.12.2015წ.

დანართი №3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

ინსტრუქცია

მცირე ბიზნესისთვის აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის წარმოების წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მცირე ბიზნესი, ხარჯების აღრიცხვის მიზნით, ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი ამ ინსტრუქციის დანართი №1-ის შესაბამისად.

2. აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი შეიძლება იყოს როგორც ქაღალდზე ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმის.

3. მცირე ბიზნესი ხარჯის გაწევის შესახებ ინფორმაციას აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში ასახავს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რომელშიც დაცული უნდა იყოს მაჩვენებლების უწყვეტობა და უტყუარობა.

4. ქაღალდზე ნაბეჭდი აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში შეცდომის დაშვების შემთხვევაში შენიშვნის გრაფაში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც უნდა დადასტურდეს ხელმოწერით.

5. აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი შესაძლებელია გაიხსნას როგორც ერთ კალენდარულ წელზე, ასევე უვადოდ.

6. კალენდარულ წელზე გახსნილი ჟურნალი იხურება შესაბამისი კალენდარული წლის ბოლო დღეს.

7. ჟურნალის შენახვის ვადაა არანაკლებ 3 წელი. აღნიშნული ვადა აითვლება შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

მუხლი 2. აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის შევსების წესი

1. აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის ყდაზე ინსტრუქციის დანართის პირველ გვერდზე მოცემული წესით მიეთითება:

ა) კალენდარული წელი, რომელ წელსაც მოხდა ჟურნალის გახსნა;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი;

გ) საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) მცირე ბიზნესის სერტიფიკატის ნომერი;

ე) განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე;

ვ) საქმიანობის ადგილის ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

2. აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის (შემდეგში – ჟურნალი) პირველ სვეტში მიეთითება ოპერაციის რიგითი ნომერი.

3. ჟურნალის მე-2 სვეტში მიეთითება შეძენილი საქონლის დასახელება ან/და მიღებული მომსახურების სახე.

4. ჟურნალის მე-3 სვეტში მიეთითება ზომის ერთეული. ეს სვეტი მომსახურების მიღების შემთხვევაში არ ივსება.

5. ჟურნალის მე-4 სვეტში მიეთითება შესყიდული საქონლის ოდენობა. ეს სვეტი მომსახურების მიღების შემთხვევაში არ ივსება.

6. აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის მე-5 სვეტში მიეთითება ხარჯის გაწევის თარიღი.

7. ჟურნალის მე-6 სვეტში აისახება გაწეული ხარჯი თანხობრივ გამოსახულებაში.

8. ჟურნალის მე-7 სვეტის შევსება სავალდებულო არაა. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში იგი მიუთითებს პირველადი საგადასახადო დოკუმენტის დასახელებას (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა), ნომერს და თარიღს.

9. ჟურნალის მე-8 სვეტში (შენიშვნა) მითითება კეთდება შეცდომის დაშვების შემთხვევაში ან გადამხდელის

გადაწყვეტილებით რაიმე მინიშნების გაკეთების შემთხვევაში.

მაგალითი 1:

ვახტანგ ბერიძე არის ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 222222222. მას მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი, რომლის ნომერია №1111111. იგი ფლობს მინიმარკეტს. მისი მინიმარკეტი იმყოფება მისამართზე: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ №X.

ვახტანგმა 2019 წლის 7 მარტს, ბაზარში, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე შეიძინა 1 ტომარა კარტოფილი 30 ლარად და 10კგ ხახვი 9 ლარად. ამასთან, იმავე დღეს საგადასახადო სასაქონლო ზედნადებით, რომლის ნომერია 11/12 შეიძინა 12 ცალი ნამცხვარი – ფასი 10 ლარი და 5 კგ ვაფლი – ფასი 10 ლარი. მან შპს „სხივს“ შესაკეთებლად გადასცა სასწორი, რომელსაც ავანსად გადაუხადა 5 ლარი, მომსახურების სრული ღირებულებაა 10 ლარი. მან აგრეთვე შპს „ტკბილი სასმელებისაგან“ შემდგომი გადახდის პირობით შეიძინა 1 ყუთი ლიმონათი ღირებულებით 15 ლარი.

ამ შემთხვევაში ი.მ. ვახტანგ ბერიძე ჟურნალს შეავსებს შემდეგნაირად:

1. ამ ინსტრუქციის დანართის შესაბამისად ქაღალდზე ნაბეჭდი ჟურნალის ყდა ან ელექტრონული ჟურნალის საწყისი ფურცელი გამოიყურება ასე:

მცირე ბიზნესის აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი
2019 წელი
გადამხდელი: ინდივიდუალური მეწარმე ვახტანგ ბერიძე
საიდენტიფიკაციო №222222222
მცირე ბიზნესის სერტიფიკატის №1111111
განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე: საცალო ვაჭრობა

საქმიანობის ადგილის მისამართი: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №X.

2. ჟურნალში 2019 წლის 3 მარტს ვახტანგის მიერ გაკეთდება შემდეგი ჩანაწერები:

№	შეძენილი საქონელი ან/და მიღებული მომსახურება	ზომის ერთეული	რაოდენობა	თარიღი	თანხა	ხარჯის დამადასტურებე-ლი დოკუმენტის სახე, № და თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1	კარტოფილის შესყიდვა	ტომარა	1	07.03.19	30 ლარი		
2	ხახვის შეძენა	კგ	10	07.03.19	9 ლარი		
3	ნამცხვარი	ც	12	07.03.19	10 ლარი	სასაქონლო ზედნადები №11/12, 07.03	
4	ვაფლი	კგ	5	07.03.19	10 ლარი	სასაქონლო ზედნადები №11/12, 07.03	
5	შპს „სხივზე“ სასწორის შესაკეთებლად გა წეული მომსახურება			07.03.19	5 ლარი		გაცემული ავანსი

ვახტანგი ჟურნალში შპს „ტკბილი სასმელებისაგან“ შემდგომი გადახდის პირობით შეძენილ საქონეზე ჩანაწერს გააკეთებს იმ რიცხვში, როდესაც მოახდენს ანგარიშწორებას.

1. თუ ვახტანგი 10 მარტს მიღება-ჩაბარების აქტით – №XX დაიბრუნებს შეკეთებულ სასწორს და მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია სწორად (შესაძლებელია მომსახურების მიმწოდებლისა და მიმღების იდენტიფიცირება, დამოწმებულია ხელმოწერებით და ბეჭდის ქონის შემთხვევაში – ბეჭდით) იგი ჟურნალის მე-2,5–მე-8 სვეტებში გააკეთებს ჩანაწერს:

შპს „სხივზე“ სასწორის შესაკეთებლად გაცემული მომსახურება			10.03.19	5 ლარი	მიღება-ჩაბარების აქტი №XX	დარჩენილი თანხის დაფარვა

დანართი №1

მცირე ბიზნესის აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი
20—— წელი

გადამხდელი _____

(მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი)

საიდენტიფიკაციო ნომერი ___ ___ ___ ___ ___ ___ ___ ___ ___ ___
მცირე ბიზნესის სერტიფიკატის ნომერი ___ ___ ___ ___ ___ ___ ___
განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე _____ _ _ _ _

საქმიანობის ადგილის (ან ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის) მისამართი

	შეძენილი საქონლის დასახელება ან/და მიღებული მომსახურების სახე	ერთეული	რაოდენობა	თარიღი	თანხა	ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, № და თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1							

დანართი №4

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.

ინსტრუქცია

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, ფიქსირებული გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ

მუხლი 1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, გარდა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობისა, დამატებით განახორციელოს საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართული საქმიანობა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქით გათვალისწინებული დამატებითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება საერთო წესით დაბეგვრას.

4. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ ჩაირთვება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

5. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ გაითვალისწინება დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას.

6. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან.

7. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

8. იმ შემთხვევაში თუ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი დამატებით ახორციელებს სხვა სახის საქმიანობას, ასეთ შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობასა და დამატებით განხორციელებულ საქმიანობას შორის გაუმიჯნავი ხარჯები დამატებით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.

მუხლი 2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გადასახადის გადამხდელი

განცხადებით (დანართი №1) მიმართავს საგადასახადო ორგანოს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქმიანობის ის სახე, რომელზეც გავრცელდება ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმი და ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართი.

2. პირს უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართოს საანგარიშო წლის ნებისმიერ თვეს.

3. თუ პირი აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165^1 მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით დადგენილ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების პირობებს, მას შეუძლია, მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებისა და ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში, მიუხედავად ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლისა, პირი ვალდებულია, შეასრულოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

4. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას და თუ პირი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და განცხადება სრულყოფილადაა შევსებული, გონივრულ ვადაში გასცემს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატს (დანართი №2).

5. (ამოღებულია - 12.07.2012, №247).

6. „პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონედ და, შესაბამისად, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად ითვლება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.“;

7. პირს ფიქსირებული გადასახადის სტატუსი არ მიენიჭება, თუ:

ა) არ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს ;

ბ) განცხადება არასრულყოფილად არის შევსებული;

გ) (ამოღებულია - 31.07.2020, №177)

8. თუ პირის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებასთან ერთად განცხადებით (დანართი №1) მოთხოვნილ იქნა მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება და პირს უარი ეთქვა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებაზე, მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებას არ ექვემდებარება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 ივლისის ბრძანება №177 - ვებგვერდი, 04.08.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 4 მაისის ბრძანება №134 - ვებგვერდი, 05.05.2022წ.

მუხლი 3. ფიქსირებული გადასახადი და დაბეგვრის სხვა სპეციალური რეჟიმები

1. საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის განსაზღვრის შემდეგ აღნიშნული საქმიანობ(ებ)ის განმახორციელებელ პირებზე არ გაიცემა მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი.

2. თუ ფიზიკური პირი, დამატებით ახორციელებს სხვა საქმიანობას და აკმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმთან ერთად დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს სპეციალური დაბეგვრის სხვა რეჟიმით (მიკრო ან მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებით).

3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიერ დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შემთხვევაში მიკრო/მცირე ბიზნესისათვის დადგენილი წლიური ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

მუხლი 4. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშგების და გადახდის წესი

1. ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს – დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში.

2. ფიქსირებული გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

3. ფიქსირებული გადასახადის გადახდა ხორციელდება საანგარიშო თვის დაწყებამდე, გადახდის მომენტისათის არსებული განაკვეთის შესაბამისად.

4. საგადასახადო ორგანოს მიერ ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის თაობაზე შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში, პირის ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის თაობაზე განცხადება წარმოადგენს გაანგარიშებას და მასში მითითებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვიდან ფიქსირებული გადასახადის დარიცხვის საფუძველს.

4^1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი გაიცემა ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობის თითოეულ მისამართზე ცალ-ცალკე.

5. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს ფიქსირებული გადასახადის მიხედვით.

6. ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის პერიოდში ფიქსირებული გადასახდის გადამხდელი პირი აღნიშნული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო ორგანოს არ წარუდგენს საშემოსავლო/მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას.

6^1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 95^3 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობის ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრისას, საშემოსავლო და მოგების გადასახადებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ გაითვალისწინება.

7. იმ შემთხვევაში, თუ იცვლება განცხადებაში დაფიქსირებული ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახე ან/და ობიექტის რაოდენობა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, განცხადებით (დანართი №1) მიმართოს საგადასახადო ორგანოს ცვლილების მოთხოვნით, რის შემდეგაც დარიცხვა მომდევნო საანგარიშო პერიოდიდან უნდა განხორციელდეს შემდგომ წარდგენილ განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისად. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახის ან/და ობიექტის რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში, გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება გაუქმებას (გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა).

8. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, ცვლილებამდე აცნობოს საგადასახადო ორგანოს (დანართი №1). ასეთ შემთხვევაში, გადამხდელზე გაიცემა ახალი სერტიფიკატი, ხოლო ძველი სერტიფიკატი ექვემდებარება გაუქმებას.

9. დარიცხული ფიქსირებული გადასახადი, შესაბამისი საანგარიშო თვის დადგომის შემდეგ, შესაძლებელია, გადაანგარიშდეს მხოლოდ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი წესით საგადასახადო ორგანოს მიერ საკითხის შესწავლის შედეგად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 4 მაისის ბრძანება №134 - ვებგვერდი, 05.05.2022წ.

მუხლი 5. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მისთვის ან მის მიერ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შემთხვევაში შეინახოს აღნიშნული დოკუმენტი.

2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი არ თავისუფლდება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულებისაგან.

მუხლი 6. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერება

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერებამდე განცხადებით (დანართი №3) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

2. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში პირს არ დაერიცხება ფიქსირებული გადასახადი.

3. საქმიანობის განახლების შემთხვევაში, პირი ვალდებულია, განახლებამდე აცნობოს საგადასახადო ორგანოს (დანართი №3) და გადაიხადოს საქმიანობის განახლების თვის ფიქსირებული გადასახადი სრულად.

4. ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში საქმიანობის ფაქტობრივად გაგრძელების შემთხვევაში, შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისას პირს დაეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 4 მაისის ბრძანება №134 - ვებგვერდი, 05.05.2022წ.

მუხლი 7. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმება

1. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) პირი წყვეტს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას;

ბ) პირი საგადასახადო ორგანოს მიმართავს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;

გ) პირი ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას;

დ) საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან ნებაყოფლობით გატარდა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციაში.

2. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების ერთ-ერთი პირობის (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა) დადგომისას პირი ვალდებულია ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების მიზნით განცხადებით (დანართი №4) მიმართოს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი პირობის დადგომიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი გაუქმებულად ითვლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების პირობის დადგომის დღიდან.

მუხლი 8. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირთა რეესტრი

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირიდან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯის იდენტიფიცირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) აწარმოებს საგადასახადო წლისათვის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების ერთიან რეესტრს, რომელიც განთავსდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

მუხლი 9. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლი

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის მიმართ განახორციელოს საგადასახადო კონტროლის ღონისძიებები.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსზე გადასვლის შემთხვევაში, საანგარიშო წლის დაწყებიდან მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას მიკრო/მცირე ბიზნესისათვის დადგენილი რეჟიმით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლის მიზნით განცხადებით მომართვის დღიდან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად დადგომის დღემდე უნარჩუნდებათ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი.

მაგალითი 1

ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელიც ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილების №6 დანართით განსაზღვრულ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას, სურს გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე. ამასთან, პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

2012 წლის 20 მარტს მეწარმემ განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით. საგადასახადო ორგანომ განიხილა პირის განცხადება და 2012 წლის 25 მარტს პირს მიანიჭა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

დასკვნა: ასეთ შემთხვევაში პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად ითვლება 2012 წლის 1 აპრილიდან, ხოლო ფიქსირებული გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს 2012 წლის 1 აპრილამდე.

მაგალითი 2

შპს-ს, რომელიც ეწევა სარესტორნო მომსახურებას, გააჩნია საკუთარი თონე, რომლის საშუალებითაც ხორციელდება პურის გამოცხობა, საწარმო ახდენს ამგვარი წესით გამოცხობილი პურის როგორც ცალკე საქონლის მიწოდებას (რეალიზაციას), ისე იყენებს სარესტორნო მომსახურების გაწევაში და მისი ფასი ჩართულია კლიენტისათვის გაწეული მომსახურების საბოლოო ღირებულებაში.

შპს-მ განცხადებით მიმართა საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭების მიზნით. ვინაიდან საწარმო ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებულ საქონელს იყენებს მის მიერ სხვა რეჟიმით დასაბეგრ საქმიანობაში, მას არ მიენიჭება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

მაგალითი 3

პირი ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილების №6 დანართით განსაზღვრულ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას და დამატებით ეწევა სარემონტო მომსახურებას. პირს სურს მიიღოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ძირითად საქმიანობაზე, ხოლო დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ისარგებლოს მცირე ბიზნესის სტატუსით. პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი.

ასეთ შემთხვევაში პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის მოთხოვნით და დამატებით განხორციელებული (სარემონტო მომსახურება) საქმიანობის ნაწილში მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ამასთან, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებული იქნება მცირე ბიზნესის 100 000 ლარამდე ერთობლივი შემოსავლის ოდენობის დათვლისას.

მაგალითი 4

პირს აქვს თონე და პურის ცხობასთან ერთად თონეში აცხობს და ყიდის ლობიანს. იგი ასევე დამატებით ახორციელებს თონით მომსახურებას (მაგ., გოჭის შეწვა) და სურს გადავიდეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმზე.

ასეთ შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს ფიქსირებული გადასახადის

გადამხდელად რეგისტრაციის მოთხოვნით. პირს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი მიენიჭება თონეზე და იგი შეზღუდული არ არის აღნიშნული სტატუსის ფარგლებში პურთან ერთად გაყიდოს მის მიერ გამომცხვარი ლობიანი, პურისათვის მოზელილი ცომი ან თონეში შეწვას გოჭი.

დანართი №1

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 4 მაისის ბრძანება №134 - ვებგვერდი, 05.05.2022წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლის/ ფიქსირებულ გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის/ობიექტის რაოდენობის/მისამართის ცვლილების თაობაზე

გაცნობებთ, რომ ვეწევი ———————————————— საქმიანობას.
(საქმიანობ(ებ)ის სახე)

№	საქმიანობის სახე	დაბეგვრის ობიექტი	ობიექტის რაოდენობა	ობიექტის მისამართი	გადასახადის განაკვეთი ობიექტზე	კუთვნილი გადასახადი (4 X 6)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	
ჯამი							

შენიშვნა:
ა) განცხადებაში მონაცემები მიეთითება სრულად, წინა განცხადების გათვალისწინებით;
ბ) საქმიანობის სახის, ობიექტის რაოდენობის ან/და საქმიანობის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სერტიფიკატი ექვემდებარება გაუქმებას (გარდა საქმიანობის სახისა და სხვა მისამართზე ობიექტის დამატების შემთხვევისა).

გთხოვთ,
მომანიჭოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

გამიუქმოთ:

□ მიკრობიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მიკრობიზნესის № ---- სერტიფიკატი
□ მცირე ბიზნესის სტატუსი და ჩაიბაროთ მცირე ბიზნესის № ---- სერტიფიკატი.

ხელმოწერა . . . . . .
თარიღი „ — „ „————„ 20 წელი

დანართი №2

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური
ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი №----

სერტიფიკატით დასტურდება, რომ

(საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი)

4	დეკლარაციის (პირის) სახე	პირველადი		შესწორებული		5	კალენდარული წელი			
						6	განგრძობითი თვე			

(პირის დასახელება/სახელი და გვარი)

(საქმიანობის სახე და დაბეგვრის ობიექტის რაოდენობა)

ფაქტობრივი მისამართი: ----------

მინიჭებული აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი ----------

პირი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელია ----------

უფლებამოსილი პირის თანამდებობა და ხელმოწერა ----------

დანართი №3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება №247 - ვებგვერდი, 17.07.2012წ.,
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 4 მაისის ბრძანება №134 - ვებგვერდი, 05.05.2022წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების/განახლების შესახებ

გაცნობებთ, რომ

□ შევაჩერებ

□ განვაახლებ

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას .....
(საქმიანობის სახე)

საქმიანობ(ებ)ის ნაწილში.

სერტიფიკატ(ებ)ის ნომერი: .....

საქმიანობის შეჩერების/განახლების თარიღი
20.. წლის ..... თვიდან

ხელმოწერა . . . . . .
თარიღი „ — „ „————„ 20 წელი

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების/განახლების შესახებ

გაცნობებთ, რომ

□ შევაჩერებ

□ განვაახლებ

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას .....
(საქმიანობის სახე)

საქმიანობ(ებ)ის ნაწილში.

საქმიანობის შეჩერების/განახლების თარიღი 20.. წლის ..... თვიდან

ხელმოწერა . . . . . .

თარიღი „ — „ „————„ 20 წელი

დანართი №4

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 20 მარტის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 21.03.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 4 მაისის ბრძანება №134 - ვებგვერდი, 05.05.2022წ.

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)

საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმების შესახებ

გთხოვთ, გამიუქმოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი
——————————— საქმიანობის ნაწილში.
(საქმიანობის სახე)

სტატუსის გაუქმების მიზეზი:

□ მსურს გავიუქმო ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი;
□ —— ————— 20— წ. შევწყვიტე/ვწყვეტ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას/ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას შემდეგ მისამართზე ————;
□ —— ————— 20— წ. ვახორციელებ/განვახორციელებ საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას;
□ —— ————— 20— წ. საქართველოს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში წარმომეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება;
□ —— ————— 20— წ. ნებაყოფლობით გავიარე დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია.

ხელმოწერა . . . . . .

თარიღი „ — “ „————“ 20 წელი.

დანართი №5

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 ივლისის ბრძანება №279 - ვებგვერდი, 25.07.2018წ.

ინსტრუქცია
მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ

მუხლი 1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსება

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას ამ ინსტრუქციის №1 დანართით დადგენილი ფორმით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2. დეკლარაციის პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტების, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ. აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის („NACE“) კოდი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მიხედვით.

3. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, დეკლარაციის ქაღალდის ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული დეკლარაციის უჯრებში აუცილებელი გახდება განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

5. დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელმოწერით დასტურდება

გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

6. დეკლარაციის III ნაწილის შესაბამის სტრიქონებში მიეთითება შემდეგი მონაცემები:

ა) მე-15 სტრიქონში – მცირე ბიზნესის მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით. აღნიშნული გრაფის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი.

ბ) მე-16 სტრიქონში – საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი საანგარიშო თვეში -1% ან 3%;

გ) მე-17 სტრიქონში – მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავალი საანგარიშო თვის მიხედვით;

დ) მე-18 სტრიქონში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავალი. ამასთან, თუ აღნიშნული შეღავათი სრულად გამოიყენება ყოველთვიურ დეკლარაცი(ებ)ში, იგი არ ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის III ნაწილში ასახვას, ხოლო დადგენილი შეღავათის ყოველთვიურ დეკლარაცი(ებ)ში ნაწილობრივ გამოყენების შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის III ნაწილში მიეთითება შეღავათის დარჩენილი ოდენობა;

ე) მე-19 სტრიქონში – საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე, რომელიც მიიღება მე-17 და მე-18 სტრიქონს შორის სხვაობის თანხის საშემოსავლო გადასახადის მე-16 სტრიქონში მითითებულ განაკვეთზე გამრავლებით. მათ შორის, მე-20 სტრიქონში აისახება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის ბიუჯეტებში გადასახადელი საშემოსავლო გადასახადი თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მითითებით.

მაგალითი 1:

პირობა:

გიორგის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეს, მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ახორციელებს სურსათის საცალო ვაჭრობას. ამ საქმიანობის ნაწილში 2019 წლის 10 თვეში მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა შეადგინა 200 000 ლარი, მათ შორის ოქტომბრის თვეში – 30 000 ლარი.

გიორგი ასევე ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, საიდანაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2019 წლის დასაწყისიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით შეადგინა 150 000 ლარი, მათ შორის ოქტომბრის თვეში – 50 000 ლარი.

ამასთან, მან 2019 წლის განმავლობაში ოქტომბრის თვემდე:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიიღო პროცენტები 3500 ლარის ოდენობით;
- ფართის იჯარით გაცემიდან საიჯარო ქირის სახით მიიღო შემოსავალი 80 000 ლარის ოდენობით;
- რეზიდენტი საწარმოსგან ხელფასის სახით მიიღო 15000 ლარის შემოსავალი.

ანალიზი:

გიორგი არაუგვიანეს 2019 წლის 15 ნოემბრისა საგადასახადო ორგანოს წარუდგენს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას.

დეკლარაციის შესაბამის სტრიქონებში აისახება:

· **მე-15 სტრიქონში – 350 000 ლარი, რომელიც შედგება:**

- ვაჭრობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალისაგან წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით 200 000 ლარი. ასეთი შემოსავალი ექვემდებარება სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალისაგან წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით – 150 000 ლარი;

ამასთან, მცირე ბიზნესის მიერ მიღებულ ერთობლივ შემოსავალში არ აისახება:

- ფართის იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან ასეთი შემოსავალი განეკუთვნება „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5-ით განსაზღვრულ შემოსავლის სახეს, რომელიც იბეგრება ჩვეულებრივი წესით, როგორც დაიბეგრებოდა მცირე ბიზნესის სტატუსის არარსებობის შემთხვევაში და მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება;
- ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ ჩაირთვება მცირე ბიზნესის ერთობლივ შემოსავალში და ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრას;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მი ღებული პროცენტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად, გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

· **მე-16 სტრიქონში –** განაკვეთი 1%, ვინაიდან ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს;

· **მე-17 სტრიქონში – 80 000 ლარი –** მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავალი ოქტომბრის თვის მიხედვით;

· **მე-18 სტრიქონში – 53000 ლარი** – იმის გათვალისწინებით, რომ გიორგი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეს, მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარამდე მიღებული დასაბეგრი შემოსავალი საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ გიორგის აღნიშნული შეღავათით წინა საანგარიშო პერიოდებში არ უსარგებლია. ასევე, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებულია

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ვინაიდან 2019 წელს ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი 200 000 ლარს არ აღემატება;

· **მე-19 სტრიქონში –** 270 ლარი ((80 000- 53000)*1%).

დანართი №1

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია

ნაწილი I

1	*მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი*	
	გვარი, სახელი	

2	საიდენტიფიკაციო ნომერი										

3	გადამხდელის პირადი ნომერი												

7	მისამართი	

8	ეკონომიკური საქმიანობის კოდი	

9	წარედგინება:	

ნაწილი II

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

10	დეკლარაციის მიღების თარიღი	

11	თანდართული დოკუმენტი			ფურცელზე

12	რეგისტრაციის ნომერი	

13	დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი	

14	დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა	

ნაწილი III

საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება (ლარი)					
ირე ბიზნესის შემოსავალი კალენდარული წლის საწყისიდან ნაზარდი ჯამით				15	
ემოსავლო გადასახადის აკვეთი საანგარიშო თვეში	16				
ირე ბიზნესით დაბეგვრას დაქვემდებარებული საბეგრი შემოსავალი საანგარიშო თვის მიხედვით. ი შორის:				17	
ბეგვრისაგან ავისუფლებული საბეგრი შემოსავალი	18				
თვნილი საშემოსავლო გადასახადი, მათ შორის:			19		
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი					
ადგილობრივი	თანხა				

თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის დასახელება		

ვორმაციისთვის		
ეენდარული წლის დასაწყისიდან გაცემული უფასი ნაზარდი ჯამით	21	

შენიშვნა:

დეკლარაციაში მოცემული მონაცემების სისრულეს და უტყუარობას ვადასტურებ:

გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა	

თარიღი								